



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1955 2024 წლის 31 დეკემბერი ქ.თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან
მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2024 წლის 30 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 387 859 719 (სამას ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვაას ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ცხრამეტი) ლარი, მათ შორის:

1.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 107 535 (ექვსი მილიონ ას შვიდი ათას ხუთას ოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 9 167 587 (ცხრა მილიონ ას სამოცდაშვიდი ათას ხუთას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 121 589 (ექვსი მილიონ ას ოცდაერთი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.4. ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 187 702 (ხუთი მილიონ ას ოთხმოცდაშვიდი ათას შვიდას ორი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.5. ვანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 340 460 (ხუთი მილიონ სამას ორმოცი ათას ოთხას სამოცი) ლარისა, დანართ №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 077 193 (რვა მილიონ სამოცდაჩვიდმეტი ათას ას ოთხმოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.7. თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 383 124 (ხუთი მილიონ სამას ოთხმოცდასამი ათას ას ოცდაოთხი) ლარისა, დანართ №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.8. სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 846 156 (ექვსი მილიონ რვაას ორმოცდაექვსი ათას ას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.9. საჩხერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 918 984 (შვიდი მილიონ ცხრაას თვრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი) ლარისა, დანართ №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.10. ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 142 952 (ხუთი მილიონ ას ორმოცდაორი ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 13 986 316 (ცამეტი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაექვსი ათას სამას თექვსმეტი) ლარისა, დანართ №11-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 990 677 (შვიდი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაათი ათას ექვსას სამოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.13. ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 045 779 (შვიდი მილიონ ორმოცდახუთი ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.14. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 119 072 (ექვსი მილიონ ას ცხრამეტი ათას სამოცდათორმეტი) ლარისა, დანართ №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.15. ხონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 599 447 (ოთხი მილიონ ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ოთხას ორმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №15-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.16. ახმეტის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 764 098 (ექვსი მილიონ შვიდას სამოცდაოთხი ათას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.17. გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 943 186 (შვიდი მილიონ ცხრაას ორმოცდასამი ათას ას ოთხმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.18. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 462 247 (ექვსი მილიონ ოთხას სამოცდაორი ათას ორას ორმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.19. თელავის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 886 674 (ოთხი მილიონ რვაას ოთხმოცდაექვსი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №19-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.20. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 739 440 (შვიდი მილიონ შვიდას ოცდაცხრამეტი ათას ოთხას ორმოცი) ლარისა, დანართ №20-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.21. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 867 162 (რვა მილიონ რვაას სამოცდაშვიდი ათას ას სამოცდაორი) ლარისა, დანართ №21-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.22. სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 514 578 (რვა მილიონ ხუთას თოთხმეტი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №22-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.23. ყვარლის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 644 289 (ხუთი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას ორას ოთხმოცდაცხრა) ლარისა, დანართ №23-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.24. დუშეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 9 536 865 (ცხრა მილიონ ხუთას ოცდათექვსმეტი ათას რვაას სამოცდახუთი) ლარისა, დანართ №24-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.25. თიანეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 148 385 (ხუთი მილიონ ას ორმოცდარვა ათას სამას ოთხმოცდახუთი) ლარისა, დანართ №25-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.26. მცხეთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 615 571 (ოთხი მილიონ ექვსას თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №26-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.27. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 873 812 (სამი მილიონ რვაას სამოცდაცამეტი ათას რვაას თორმეტი) ლარისა, დანართ №27-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.28. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 207 170 (სამი მილიონ ორას შვიდი ათას ას სამოცდაათი) ლარისა, დანართ №28-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.29. ონის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 998 057 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №29-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.30. ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 2 702 750 (ორი მილიონ შვიდას ორი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარისა, დანართ №30-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.31. ცაგერის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 036 184 (ხუთი მილიონ ოცდათექვსმეტი ათას ას ოთხმოცდაოთხი) ლარისა, დანართ №31-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.32. აბაშის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 838 360 (ოთხი მილიონ რვაას ოცდათვრამეტი ათას სამას სამოცი) ლარისა, დანართ №32-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.33. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 10 259 002 (ათი მილიონ ორას ორმოცდაცხრამეტი ათას ორი) ლარისა, დანართ №33-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.34. მარტვილის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 377 858 (ექვსი მილიონ სამას სამოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №34-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.35. მესტიის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 303 044 (შვიდი მილიონ სამას სამი ათას ორმოცდაოთხი) ლარისა, დანართ №35-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.36. სენაკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 985 798 (ხუთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდახუთი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №36-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.37. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 421 246 (რვა მილიონ ოთხას ოცდაერთი ათას ორას ორმოცდაექვსი) ლარისა, დანართ №37-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.38. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 289 453 (ხუთი მილიონ ორას ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ორმოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №38-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.39. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 408 114 (ოთხი მილიონ ოთხას რვა ათას ას თოთხმეტი) ლარისა, დანართ №39-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.40. ხობის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 5 189 687 (ხუთი მილიონ ას ოთხმოცდაცხრა ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №40-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.41. ადიგენის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 736 683 (ოთხი მილიონ შვიდას ოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდასამი) ლარისა, დანართ №41-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.42. ასპინძის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 3 968 158 (სამი მილიონ ცხრაას სამოცდარვა ათას ას ორმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №42-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.43. ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 409 841 (ექვსი მილიონ ოთხას ცხრა ათას რვაას ორმოცდაერთი) ლარისა, დანართ №43-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.44. ახალციხის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 6 493 859 (ექვსი მილიონ ოთხას ოთხმოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №44-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.45. ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 9 641 800 (ცხრა მილიონ ექვსას ორმოცდაერთი ათას რვაასი) ლარისა, დანართ №45-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.46. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 588 125 (ოთხი მილიონ ხუთას ოთხმოცდარვა ათას ას ოცდახუთი) ლარისა, დანართ №46-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.47. ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 255 195 (შვიდი მილიონ ორას ორმოცდათხუთმეტი ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №47-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.48. გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 10 548 338 (ათი მილიონ ხუთას ორმოცდარვა ათას სამას ოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №48-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.49. დმანისის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 070 975 (ოთხი მილიონ სამოცდაათი ათას ცხრაას სამოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №49-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.50. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 917 328 (ოთხი მილიონ ცხრაას ჩვიდმეტი ათას სამას ოცდარვა) ლარისა, დანართ №50-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.51. მარნეულის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 9 914 845 (ცხრა მილიონ ცხრაას თოთხმეტი ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარისა, დანართ №51-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.52. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 13 707 379 (ცამეტი მილიონ შვიდას შვიდი ათას სამას სამოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №52-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.53. წალკის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 4 527 599 (ოთხი მილიონ ხუთას ოცდაშვიდი ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №53-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.54. გორის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 14 089 890 (თოთხმეტი მილიონ ოთხმოცდაცხრა ათას რვაას ოთხმოცდაათი) ლარისა, დანართ №54-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.55. კასპის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 081 190 (შვიდი მილიონ ოთხმოცდაერთი ათას ას ოთხმოცდაათი) ლარისა, დანართ №55-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.56. ქარელის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 7 348 074 (შვიდი მილიონ სამას ორმოცდარვა ათას სამოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №56-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.57. ხაშურის მუნიციპალიტეტს – არაუმეტეს 8 512 837 (რვა მილიონ ხუთას თორმეტი ათას რვაას ოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №57-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა უზრუნველყონ ამავე განკარგულების დანართებით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებისათვის შესაბამისი სახსრების კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინება შესაბამისი მუნიციპალიტეტ(ებ)ის ბიუჯეტ(ებ)ში, „საქართველოს 2025

წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 3¹ მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი კობახიძე